ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!

# საქართველო

საქართველოს სახალხო ფრონტი
ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

№ 2 (58)

18 იანვარი, 1992 წ.

## ზუგდიდის მოსახლეობას, ჩვენს დედასა და ძმებს!

დღეს, საქართველოსათვის ამ უმძიმესი განსაცდელის ჟამს, მოგმართავთ თქვენ, ჩვენი მრავალტანჯული სამშობლოს უძველეს და უმკვიდრეს ნაწილს!

არც ურარტუს და კიმერიელთა, არც აქემენიანთა და სასანიანთა ირანის, არც არბთა ხალიფატის, არც სეფიანთა და ოსმალთა, არც რუსთა შემოსევებისაგან საქართველოს არ დამუქრებია ის საფრთხე, რაც ჩვენ დღეს კარზე მოგვდგომია.

ყველა ომთაგან უსაზიზღრესი — სამოქალაქო ომი უკაკუნებს კარს საქართველოს კარს. დღეს ბევრია მგლოვიარე ოჯახი, მოუშუშებელი ჭრილობა — ვიკმაროთ, ნუღარ გავამრავლებთ ჩვენს სამშობლოში ქვრივ-ობლებს, უნუგეშო დედებს.

ჩვენი დიდი წინაპრები არ გვაპატიებენ უაზროდ დაღვრილ სისხლს. თვით შუა საუკუნეებშიაც კი, პარტიკულარიზმის ეპოქაში არცერთ მთავარს არასოდეს მოსვლია აზრად გამოჰყოფოდა ქართულ პოლიტიკურ სისტემას, ქართულ კულტურას, ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებას.

ბაგრატიონთა, დადიანთა, გურიელთა, შარვაშიძეთა, გელოვანთა და დადეშქელიანთა საქართველო იყო ის სარბიელი, სადაც გაიშალა ქართული სული, ქართული ქრისტიანული ცივილიზაცია. მათ ნაშიერებს უფლება არა გვაქვს გადავაბიჯოთ საუკუნეების წინ მიღწეულ მიჯნებს.

საქართველოს ისტორიაში არ არსებულა და არც იარსებებს ადამიანი ან ადამიანთა ჯგუფი, რომელიც შეიძლება ერის ერთობის განმსაზღვრელად იქცეს. საქართველო ის მუდმივი ღირებულებაა, რომელიც მოიმსახურებს აიეტსა და ფარნავაზს, ვახტანგსა და გუბაზს, დავითსა და თამარს; მოიმსახურებს ყველა გამაერთიანებელს, ყველა შემკვრელს ქართველობისას და დაგმობს გამთიშველს, შუღლის შემომტანს, კუთხობრივ დამქუცმაცებელს.

ვიყოთ ერთიანი, დემოკრატიული, დღევანდელი მსოფლიოსათვის შესაფერისი საქართველოს შვილები!

ვაჩვენოთ მსოფლიოს, რომ ჩვენ ტომობრივი დაყოფის დონეს ათასწლეულების წინ გავცდით, რომ ჩვენ, დღევანდელი ქართველები ღირსნი ვართ იმ კულტურისა, რაც გვეანდერძა.

კიდევ გვინდა გავიმეოროთ — არ არსებობს ჩვენს ერთობაზე უფრო დიდი და მნიშვნელოვანი იურიდიული თუ პიროვნული ღირებულება.

დღევანდელი დაძაბულობის ალტერნატივა სამოქალაქო ომია. ამ ომში არ არსებობენ გამარჯვებულები. ამას ადასტურებს მსოფლიო ისტორია. ნუ ვიქნებით „ყველაფრის მცოდნენი“. ზოგი რამ სხვა ხალხთა გამოცდილებიდანაც გავიზიაროთ. ნუ შევწირავთ ჩვენს პიროვნულ აზრებს მთელ საქართველოს, ქართველი ერის კეთილდღეობას.

ერთიანი საქართველო ყველაზე დიდი ღირებულებაა, რაც შეუქმნია ქართლელს, მეგრელს, კახელს, სვანს, სხვა კუთხეთა შვილებს. ნუ დავივიწყებთ ჩვენს უდიდეს პასუხისმგებლობას.

გახსოვდეთ, ვინც დღეს იარაღის ასაღებად მოგიწოდებთ, ის საქართველოს მტერია!

ილია ანთელავა,
ზაურ კალანდია

## ქართველებო!

ჩვენი სამშობლო სამოქალაქო ომის ცეცხლში ეხვევა. ეს არის მტრის უდიდესი გამარჯვება ჩვენზე. არ შეასრულოთ მტრის ნება! აღარ ესროლოთ ერთმანეთს, რაც უნდა დიდი იყოს დღეს თქვენი სიმწარე უკვე დაღვრილი სისხლის გამო და ბოროტი ხელის მიერ ხელოვნურად დათესილი სიძულვილი ერთმანეთის მიმართ!

არ მიიღოთ მონაწილეობა სამოქალაქო ომში. გახსოვდეთ: ომი მხოლოდ მაშინ დამთავრდება, როცა მტერი ჩათვლის, რომ საქართველო გასწორებულია მიწასთან! ამ ძმათა სისხლისმღვრელ ომში არც გამარჯვებული არსებობს და არც უდანაშაულო.

საქართველოს სჭირდება ხელისუფლება, რომელიც მართვისუნარიანიცაა და კანონიერიცაა იმავე დროს. ასეთ ხელისუფლებას მოგვცემს მხოლოდ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები, რომელიც უმოკლეს ვადაში უნდა ჩატარდეს.

დღეს ესლა დაგვრჩენია: არ ვიხმაროთ იარაღი ერთმანეთის წინააღმდეგ! თუ ბრძოლა შეგვიძლია, წინ აღვუდგეთ მხოლოდ მტერს, რომელიც მიწა-წყალს და თავისუფლებას გვართმევს! მივიღოთ მონაწილეობა საპატრულო სამსახურში, უსაფრთხოების დაცვაში, წესრიგის დამყარებაში, მაგრამ არა სამოქალაქო ომში. არ დავღვაროთ სისხლი გამსახურდიას ხელისუფლების დაცვისათვის. მან უკვე დაამტკიცა, რომ არც ქვეყნის მართვის უნარი აქვს, არც ქვეყნისათვის თავდადების სურვილი. არ დაღვაროთ სისხლი გამსახურდიას დაპატიმრებისა ან გაძევებისათვის. მისი დამცველების სისხლი ხომ ისევ ჩვენი თანამემამულეების სისხლია. მხოლოდ უსისხლო საშუალებით — საარჩევნო ბრძოლით გავარკვიოთ, რა უნდა ჩვენი ხალხის უმრავლესობას მას შემდეგ, რაც ყველა მხარის ინფორმაცია და აზრი მოისმინა!

ნ. ნათაძე.

## ყურადღება!

მოსკოვის ტელევიზიამ და გაზეთმა „კომსომოლსკაია პრავდამ“ აცნობეს მოსახლეობას, რომ 19 იანვარს „სამხრეთ ოსეთში“ ტარდება რეფერენდუმი „რუსეთთან სამხრეთ ოსეთის შეერთების შესახებ“. ძმათა სისხლისმღვრელ ომში ჩაბმულ საქართველოს ეს, როგორც ეტყობა, არ შეუმჩნევია. დეპუტატთა ჯგუფმა, რომელთა გვარებს ქვემოთ წაიკითხავთ, სათანადო დოკუმენტით მიმართა რუსეთის ხელისუფალთ. ვთხოვთ უზენაესი საბჭოს სხვა წევრებსაც შეუერთდეს ამ დოკუმენტის ხელმოწერებს და იგივე ტექსტი იმავე მისამართით გაგზავნოს. ვაქვეყნებთ ტექსტს და ხელმოწერებს.

### რუსეთის პრეზიდენტს ბატონ ბ. ელცინს

### რუსეთის უზენაეს საბჭოს

თქვენო აღმატებულება ბატონო პრეზიდენტო!

ბატონო დეპუტატებო!

როგორც პრესიდან და ტელევიზიიდან ცნობილი გახდა, ამა წლის 19 იანვარს ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე დაგეგმილია რეფერენდუმის ჩატარება „სამხრეთ ოსეთის რუსეთთან შეერთებაზე“.

ამასთან დაკავშირებ[illegible] საქართველოს რესპუბლიკის უზენ[illegible]ესი საბჭოს დეპუტატები აუცილებლად მიიჩნევენ გაცნობონ შემდეგი:

სამხრეთ ოსეთის რუსეთთან შეერთებაზე საკითხის რეფერენდუმზე დაყენება არის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფა და აგრესია საქართველოს წინააღმდეგ. ვინაიდან რუსეთის პრეზიდენტისა და რუსეთის უმაღლესი საბჭოს მხრიდან დღემდე არ ყოფილა განცხადება პრესისა და ტელევიზიის ზემოხსენებული ცნობის გეგმებში რუსეთის არმონაწილეობის თაობაზე, ჩვენ დაჟინებით მოვითხოვთ თქვენგან, ბატონო პრეზიდენტო, და თქვენგან, ბატონო დეპუტატებო, ცალსახად გამოხატოთ საკუთარი პოზიცია საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემასთან დაკავშირებით.

16/01/92 წელი

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატები:

ნ. ნათაძე, თ. გამყრელიძე, რ. გოცირიძე, გ. შაიშმელაშვილი, გ. გვერდწითელი, მ. ნათაძე, რ. იოსელიანი, პ. საკანდელიძე, ე. შენგელაია, პ. კოღუაშვილი, რ.ღონღაძე, მ.ბალარჯიშვილი

ხელმოწერები გრძელდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენი ცოდვაც მისცემია ჩვენს ამამთხრელს, ამამბზარავს!

ძმებ პეტრიაშვილებთან, ბატონ გურამთან და ბატონ რობერტთან, შუამავალი არასოდეს დამჭირვებია.

მათთან, განსაკუთრებით გურამთან, ისეთივე თბილად და მეგობრულად ვსაუბრობდი ხოლმე ამ შვიდი-რვა თვის წინ, როგორც მწერალი უნდა საუბრობდეს მწერალთან, პატრიოტი — პატრიოტთან.

მერმე ასე მოხდა.

გურამ პეტრიაშვილი ტელევიზიიდან და რადიოდან მიქნევდა თითს და შიგადაშიგ მთათხავდა კიდეც, მე კი გაზეთ „საქართველოდან“ „ვეფერებოდი“. ახლა კი შუამავლის საშუალებით დაამყარა ჩემთან კავშირი.

საქართველო იმ ჩვენი მეგობრული საუბრების შემდეგ დარწმუნებული ვარ არც გურამს შესძულებია და არც მე.

მაშ რა მოხდა? რატომ აღარ გვაქვს ერთმანეთთან მისასვლელი პირი?

და ამ დღეშია მთელი საქართველო!

განა ეს ტრაგედია არ არის?

აი, ამაზეა ნათქვამი: „ჩვენი ცოდვაც მისცემია, ჩვენს ამამთხრევს, ამამბზარავს.“

ამომთხრელი და ამომბზარავი კი ვინც არის, ეს წერილებით და ტელევიზიით უნდა გაირკვეს და არა იარაღის ჟღარუნით, ამ მიზნით ვბეჭდავ გურამ და რობერტ პეტრიაშვილების წერილებს.

ყოფილი ხელისუფლების სხვა წარმომადგენელთათვისაც ღიაა რედაქციის კარი. ხოლო ვინც ამ გზას უარყოფს და ზვიად გამსახურდიასადმი ერთგულებას ოპოზიციონერის მოკვლითა და ჩაქოლვით განამტკიცებს, სამოქალაქო ომს მოგვახვევს თავს, ის სატანის მსახურია და „არც მკვდარს, არც ცოცხალს არ მიიღებს მას ქართველის მიწა.“

ნოდარ გრიგალაშვილი

---

უფრო საზარელი ვერაფერი ვერ მოხდებოდა. ორ კვირაზე მეტ ხანს შუა თბილისში მიდიოდა სასტიკი ომი.

არცერთი უცხო ქვეყნის ჯარს ამ ომში მონაწილეობა არ მოუღია.

საომარ ოპერაციებს ორივე მხრიდან ანხორციელებდნენ ქართველები.

ქართველებივე დაიხოცნენ!

პოლიტიკური ურთიერთდაპირისპირება ისე განვითარდა, რომ ჩვენ ჩვენსავე თავს გენოციდი მოვუწყეთ.

ისტორიის ეს შემზარავი გაკვეთილი სამუდამოდ უნდა დავიმახსოვროთ.

იგი აღარ უნდა განმეორდეს.

აღარასოდეს!

პირადად მე იმ პოლიტიკური ბანაკიდან ვარ, რომელიც კანონიერ, დემოკრატიულად არჩეულ პრეზიდენტს უჭერდა და უჭერს მხარს.

თბილისში ეს ბანაკი დამარცხდა.

ბრძოლა წავაგეთ.

მაშასადამე ჩვენს გულში შურისძიების გრძნობა უნდა ბობოქრობდეს?

უნდა შევეცადოთ უკეთესად შევიარაღდეთ, უკეთესი ორგანიზაცია გავუწიოთ ჩვენს ძალებს და შევეცადოთ რევანშის აღებას?

არა, ძმებო!

რაც იყო, იყო. წავაგეთ და წავაგეთ. განგებით ალბათ ეგრე უნდა მომხდარიყო.

„რაცა ღმერთსა არა სწადდეს, არა საქმე არ იქნების“ — ო, ამბობს რუსთაველი.

ახლა მთავარია სულიერ ძალებს მოკუეუროთ თავი და ერთხელ და სამუდამოდ საქართველოში უარი ეთქვას შიდა პოლიტიკური საკითხების იარაღის ძალით გადაჭრას.

მხოლოდ მშვიდობიანი ხერხები.

მხოლოდ უიარაღო პაექრობა.

და ასე ვეცადოთ ჩვენი იდეების გამარჯვებას.

ერთხელ და სამუდამოდ ყველა ქართველმა უნდა უთხრას თავის თავს:

იარაღი იმისთვისაა საჭირო, რომ მოვიგერიოთ გადამთიელი, თუკი იგი სამშობლოს გვეცილება.

ვიდრე ეს საზარელი ომი მოხდებოდა, მეც მითქვამს და სხვებიც ამბობდნენ, [illegible] ხელისუფლებას ძალით დაამხობენ [illegible] ხალხადობის ისეთი მაგალითი მიეცემა [illegible] რომ დიდხანს აღარ შეწყდება [illegible] ერთმანეთის საქართველოში.

ღმერთ[illegible] რომ მცდარი იყოს ჩვენი პროგ[illegible]

ღმერ[illegible] ჭნას, რომ უცებ მოეგონ [illegible] ქართველები.

[illegible]აგრამ აი, რა თქვა საქინფორმის კორესპონდენტთან საუბარში „თელასის“ დირექტორმა ზურაბ გურგენიძემ:

„ბინდა ვთხოვო მოქალაქეებს ელექტროენერგიის მიწოდების შეფერხების გამო თავისი უკმაყოფილების გამოსახატავად ნუ დაესხმიან და ნუ დაარბევენ „თელასს“. 8-9 იანვარს, მაგალითად, უკმაყოფილო მოქალაქეთა ჯგუფმა იარაღის მუქარით დაარბია „თელასის“ ადმინისტრაციული და ცენტრალური სადისპეჩეროს შენობის ორი სართული. მსგავსი შემთხვევები იყო კრწანისის, ისნის, ვაზისუბნის რაიონების განყოფილებებში, შეიარაღებულმა პირებმა „თელასის“ მთავარი სადისპეჩერო სამსახურის მუშაკიც კი გაიტაცეს“ („საქართველოს რესპუბლიკა“, შაბათი, 11 იანვარი, 1992 წელი) (ბ.ზაასმა ჩემია — გ.ბ.).

საშინელი რამაა აქ ნათქვამი.

ესე იგი ჩვეულებრივი ადამიანები, რომლებსაც ელექტროენერგია სჭირდებათ ტელევიზიის საყურებლად, უთოს გასაცხელებლად და მტვერსასრუტის ასამუშაებლად როგორც კი უკმაყოფილონი ხდებიან ამ ენერგიის არასაკმარისი მიწოდებისა, თურმე მაშინვე იარაღს სტაცებენ ხელს.

უბედურება სწორედ ეს უკვე ჩამოყალიბებული მყარი ფსიქოლოგიური კავშირია:

უკმაყოფილება — იარაღი.

განა არის სადმე ქვეყანა სადაც ყველა ყველაფერით კმაყოფილია?

უკმაყოფილობა ყოველთვის იქნება.

თუ ახლავე არ შეეუძახეთ ჩვენს ერას შეიძლება უფსკრულში გადავიჩეხოთ.

ზოგი პრეზიდენტის უკმაყოფილო იქნება და ზოგიც პრემიერ მინისტრისა. და ერთნიც და მეორენიც თოფ-იარაღს აისხამენ.

ერთი პარტია მეორის უკმაყოფილო დარჩება და იარაღს სტაცებს ხელს.

დეპუტატს მინისტრი არ მოეწონება და თოფს აიღებს.

უკმაყოფილოდ დარჩენილი კლიენტი დილაუნ დაუწყებს ავტომატურ სროლას, პაციენტი ექიმს, ხოლო მოსწავლე, აჰოდა გეოგრაფიაში ნიშანი რატომ დამაკელი,მასწავლებელს დაახლის ტყვიას.

ხომ ნახეთ თურმე როგორ შეიძლება განვითარდეს მოვლენები.

რუსთაველის პროსპექტზე პოლიტიკური ურთიერთდაპირისპირების გამო იყო იარაღის ტრიალი, „თელასში“ კი სრულიად საყოფაცხოვრებო მიზნებით მოვიდნენ იარაღიანები.

იარაღმა და სისხლმა ეგრე იცის.

თუ ერთი ადიდდა და აზვავდა ეს ამბები, მერე შეიძლება არავის აღარც კი ახსოვდეს, რომ პოლიტიკის გამო გავარდა პირველი ტყვია. იქნება დიდი სისხლისღვრა და განუკითხაობა.

და გაპარტახდება უბედური საქართველო.

ძმებო, ქართველებო, მოდით, ერთმანეთთან ლაპარაკის დროს იარაღი გადავდოთ განზე.

ხომ უგუნურება მომმეთა შორის იარაღისა და ძალადობის ლოგიკთ ქმედება, ეს ყველაფერი კიდევ უფრო დიდი უგუნურება ხდება, როცა დავფიქრდებით თუ ვისგანაა აღნიშნული იარაღი ნაშოვნი.

ფაქტი: რუსთაველის პროსპექტზე ქართველები საბჭოთა იარაღით ხოცავდნენ ერთმანეთს.

საბჭოთა წარმომადგენლებიც, ხელისუმმარებიც ტანკებიც და ყველა სხვა იარაღიც.

ერთ მხარესაც და მეორესაც საბჭოთა არმიისგან გვქონდა იარაღი შეძენილი.

შეიძლება ვინმემ მითხრას, ტყუილია შენი გადაკრული სიტყვა, საბჭოთა კავშირი აღარ არსებობსო.

კაცმა არ იცის რა არსებობს ახლა და რა არა რუსეთის იმპერიის თვალწვდენელ ტერიტორიაზე, მაგრამ ერთი რამ ცუდად მენიშნება ხოლმე: მოსკოვის ტელევიზია კვლავ ც ამინდს როცა აცხადებს, თბილისის ამინდსაც ამბობს, კიშინოვისასაც და ხანდახან ბალტიისპირეთის ამინდსაც მიაყოლებს ხოლმე.

არა და ამათ მაინც რატომ არ ეშვებიან. ესენი ხომ ყაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრებიც არიან უკვე.

ნუ ვიჭნებით გულუბრყვილონი, მეგობრებო!

რუსული დათვი ვინ იცის როდის მოიშლის „თავისი“ ტერიტორიებისკენ ყურებას.

მ ნდა ყურადღება მიაქციოთ ერთ ამბავს:

მთავრობის სახლის დამცველებს და ოპოზიციას დაახლოებით თანაბარი შეიარაღება ჰქონდათ.

ესე იგი ვისგანაც იარაღი იყიდა ერთმაც და მეორემაც, იმას სურდა, რომ დიდხანს გაგრძელებულიყო ჩვენი ომი.

ყველასთვის ცხადია, თუკი ერთი მხარე ძალით დიდად აღემატება

**მაშ როგორ ხდებოდა, რომ ჩვენს ომში მხარეებს დროულად ამარაგებდნენ და სულზე მოგვისწრებდა ხოლმე ჩვენ, მაგალითად, ტყვია-წამალი, ოპოზიციას, მაგალითად, ქვემეხის ჭურვები?**

**როგორ ხდებოდა, ძმებო, და ისე ხდებოდა, რომ შორიდან დიდი ივან ვასილიჩი (ან ვასილ ივანიჩი) ხელმძღვანელობს აქაურ პატარებს. და, აბა, ერთი ამათ შეუთანხმებლად და არასინქრონულად იმოქმედონ, ვაი, მაგათი ბრალი!**

ნუთუ ასე გულუბრყვილოთ უნდა წამოვიგოთ ამ მარტივ ანკესს. ბოლო სამი წელია გავრცელდა ხმა, რომ საბჭოთა არმიელს ნახევარი ლიტრა არაყი დაუდგი და ავტომატსაც მოგყიდის და ტანკსაც ზედ მიაყოლებსო.

საბჭოთა არმიელს ალბათ მართლაც არ ენაღვლება არმიის ქონება, მაგრამ შორიდან დიდი ივან ვასილიჩი შემწყნარებლურად რომ არ უცქეროდეს პატარა ივან ვასილიჩების აღებ-მიცემობას, განა ეგრე განვითარდებოდა ეს „ბიზნესი“ ?

იმასაც დავაკვირდეთ, თუ როდის გაჩნდა იარაღი, მაგალითად, საქართველოში.

ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის უმშვენიერესი და უმაღლესი მწვერვალი იყო 9 აპრილი.

მშვენიერი და ამაღლებული იგი იყო სწორედ იმით, რომ უიარაღო, მშვიდობიანმა მომიტინგეებმა სულიერი გამარჯვება მოიპოვეს კბილებამდე შეიარაღებულ მტერზე.

და რადგან 9 აპრილს სწორედ უიარაღობაში იყო ჩვენი ძალა, უკვე 10 აპრილს შორეულმა დიდმა ივან ვასილიჩმა ჩაიფიქრა, ამათ როგორმე ავტომატი უნდა დავაჭერინო ხელშია.

ფიქრობ, ეთნოკონფლიქტების პროვოცირების ერთ-ერთი მიზანი ესეც იყო.

როცა მიწა ხდება სადაოდ, იქ საქმე სიტყვით არა მთავრდება, ბოლოს იარაღს კიდებენ ხელს.

და ქართველმაც ხელი მოჰკიდა ავტომატს.

მერე თანდათან იმატა იარაღმა და, აბა, ავტომატიანი კაცი ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი რამ გახდა საქართველოში.

სახიფათო რამაა ავტომატი.

იგი კარგი მაშინაა, როცა მისი მფლობელი კანონს იცავს.

მაგალითად, მშვენიერია ავტომატიანი ქართველი ვაუკაცი, როცა საქართველოს მიწა-წყლის სადარაჯოზე დგას.

მაგრამ ავტომატი საშინელება ხდება, როცა იგი თავისთავად არსებულ კანონს კი არ იცავს, არამედ თვით აკანონებს რაღაცას, ანუ თვით ხდება არგუმენტი რაღაცის დაკანონებისა.

გაზეთ „საქართველოს“ 11 იანვრის ნომერში ბატონი ფელიქს კოჟიაშვილი ჩვენს პრეზიდენტს, დეპუტატებს და კერძოდ მე ბრალს გვდებს, რომ ჩვენ მოვუწოდებდით „ომის, კაცთაკვლის, ნგრევის მასშტაბების გაფართოებისაკენ“.

პატივცემულ კორესპონდენტს ჰგონია, რომ მყარი პოზიცია აქვს, რადგან ომში გამარჯვებულის მხარე უჭირავს.

მართალი ის კი არაა, ვინც ძალით აჭობა მეტოქეს, არამედ ის, ვინც ღვთის წინაშეა მართალი და გამარჯვებულის გამოვლენაც ასე იოლად არა ხდება. ხანდახან, დრო რომ გაივლის გამოჩნდება, რომ ვინც გამარჯვებული გვეგონა, სწორედ ის დამარცხებულა.

ჩვენ მოვუწოდებდით არა „ომის მასშტაბების გაფართოებისაკენ“, არამედ იმისაკენ, რომ ხალხს დაეცვა თავისივე ხელისუფლება.

ცხადია, ისეთი გულუბრყვილო არც ჩვენ ვართ და არც ხალხია, რომ ტანკებს და ჰაუბიცებს „კეტებით და ჯაჭვებით“ შეებრძოლებოდა ვინმე.

ჩვენ გვსურდა ხალხს დაენახვებინა ოპოზიციისთვის, კანონიერ ხელისუფლებას ვუჭერთ მხარსო და სწორედ ამით დაიცავდა ხალხი თავის ხელისუფლებას.

დაიცვა კიდეც.

როგორც ვიცი ფ. კოჟიაშვილი დემოკრატის და საზაროობის დიდი მომხრეა.

იქნებ მოიძიოს და მერე ტელევიზიით აჩვენოს ვიდეო ფირი, რომელზეც აღბეჭდილია ის გრანდიოზული მიტინგები, რომლებიც გაიმართა იმ, როგორც ახლა ამბობენ, დეკემბერ-იანვრის მოვლენების პირველივე დღეებში.

უნივერსიტეტთან ისეთი მიტინგი გამართულა (ეს კარგად ჩანს ვიდეოფირზე) ხალხს არა მარტო უნივერსიტეტის ეზო, არამედ ქაქავაძის პროსპექტი და ვარაზის ხევის ამოსასვლელიც აუვსია).

სხვათა შორის, ახლა ხშირად რომ სდებენ ბრალს ჩვენს პრეზიდენტს, რატომ მაშინვე არ შეწყვიტა წინააღმდეგობა ამით ხომ სისხლისღვრა მორჩებოდაო, რატომ ოპოზიციამ არ აიღო ხელი თავის განზრახვაზე, როდესაც პირველი იერიშებით ვერ დაამარცხა მთავრობის სასახლის დამცველები?

გულუბრყვილოები (ამაში კი ნამდვილად გულუბრყვილოები) ჩვენ ვფიქრობდით, რომ ოპოზიცია ნახავდა ჩვენს მხარდამჭერ უკიდეგანო მტინგებს და ატყოდა, ხალხი ისევ მათ უჭერს მხარს, მოდით, ნულარ ვებრძვითო.

მაგრამ, არა თქვა ასე ოპოზიციამ.

მე კი ჯეტყვით, რაც უნდა შეცდომები მოსვლოდა პარლამენტს და რაც უნდა დიქტატორად მოსჩვენებოდა ვინმეს ზვიად გამსახურდია, მაინც არ შეიძლებოდა ხელის აღმართვა კანონიერ, დემოკრატიულად არჩეულ ხელისუფლებაზე, ვინაიდან ეს ხელისუფლება იყო ის საფუძველი, რაზეც ნელ-ნელა უნდა აშენებულიყო საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობა.

ახლა სახელმწიფოებრიობის აშენება ათასჯერ ძნელი იქნება.

რატომ?

იმიტომ, რომ სახელმწიფოებრიობის შენებას საფუძვლად უდევს ასეთი ფსიქოლოგია: „ეს უნდა გაკეთდეს, იმიტომ რომ ეს კანონიერია და ასე საჭირო“, ხოლო დეკემბერ-იანვრის ამბებმა განამტკიცა ფსიქოლოგია: „ეს ასე მინდა რომ იყოს და იქნება კიდეც რადგან ძალა ჩემს მხარეზეა“. ასეთი ფსიქოლოგიის მქონე ადამიანები სახელმწიფოებრიობას ვერ აშენებენ. მათ მხოლოდ ანარქიისკენ ძარცვა-გლეჯისკენ და სისხლის მდინარეებისკენ შეუძლიათ წაიყვანონ ქვეყანა.

კიდევ ერთხელ ვიმეორებ, საჭიროა გამარჯვებულებმაც და დამარცხებულებმაც გონებიდან სასწრაფოდ ამოვიგდოთ იარაღი, კალაშნიკოვის ავტომატი იქნება ის თუ დეგტიარიოვის ტყვიამფრქვევი და ჩვენი შემდგომი ცხოვრების გზა მშვიდობიან კამათში ვეძებოთ: რადგან ის, რაც მოხდა გამარჯვებულ მხარეს დემოკრატიის გამარჯვებად მიაჩნია, მათ ყველგან და ყველაფერში ჭეშმარიტი დემოკრატიის დამყარებას უნდა შეუწყონ ხელი, ხოლო ჩვენ, დამარცხებულები უნდა შევეცადოთ დემოკრატიულივე ხერხებით ჩვენი სიმართლის დამტკიცებას და კანონიერების აღდგენას.

აქ უნდა ითქვას, რომ დემოკრატიული ლოზუნგების აფრიალება ათასჯერ ადვილია, ვიდრე ჭეშმარიტად დემოკრატიული ქმედება.

წინათაც ვამბობდი და ახლაც ვიტყვი სახელმწიფოში დემოკრატიის დამყარება არც ხელისუფლების მიერ იმწუთას გამოცემულ კანონებზეა დამოკიდებული და არც ხელისუფალთა ქცევაზე.

ჭეშმარიტი დემოკრატია მაშინ დამყარდება, როდესაც დიდი ხნის დამოუკიდებლი და მშვიდი ცხოვრების შემდეგ ყოველი მოქალაქე ისწავლის კანონის პატივისცემას, სხვისი აზრისუფლებრივ ერთგულად მოსმენას და აზრის პასუხად მხოლოდ აზრისავე გამოყენებას.

დემოკრატია მეტად ნაზ ფრინველსა ჰგავს და უფაქიზეს მოპყრობას მოითხოვს: აღტაცებულს რომ ჰგონია, სათუთად ვეფერებ-ვეალერსებიო, შეიძლება სწორედ მაშინ ჩაგაკვდეს ხელში.

აი, მაგალითი:

6 იანვარს ტელევიზიით გამოვიდა მწერალი ვახუშტი კოტეტიშვილი და მაყურებლს უამბო იმის თაობაზე, თუ როგორ განადგურდა დიდი ქართველი მეცნიერის ვახტანგ კოტეტიშვილის არქივი.

შეუძლებელი იყო არ გაგიზიარებინა მწერლის გულისტკივილი. სახლი აშენდება, ხეს ხელახლა დარგავ, არქივს კი ვერაფერით ვერ აღადგენ.

რა დასკვნა უნდა გამოეტანა მაყურებელს?

ალბათ ერთადერთი, რომ ომი საშინელებაა და საშინელი შედეგები მოჰყვება მას.

მაგრამ ბატონი ვახუშტის საუბარში იმდენჭერი და ისე ითქვა ერთი კაცის სახელი, რომ გამოვიდა თითქოს ის კაცი იყო ყველაფერში დამნაშავე. ის კაცი ჩემი ძმა რობერტ პეტრიაშვილია.

მას ისევე, როგორც ყველა სხვას არავინ არაფერს ეკითხებოდა ამ ომში.

საერთოდ ომი იმიტომაა საშინელება, რომ ერთხელ აზავებული მერე მიექანება და მიაქვს-მიღეწავს ყველაფერს.

ჩემი ძმა შედიოდა რამდენიმე დეპუტატისგან შემდგარ ჯგუფში, რომელიც თვალყურს ადევნებდა, რომ შენობაში წესრიგი და სისუფთავე ყოფილიყო. ესაა და ეს.

ვიდრე იმ საშინელი ბრალდებით გამოვიდოდა მთელი საქართველოს წინაშე ბატონ ვახუშტის უნდა შეემოწმებინა მართლაც იყო თუ არა ის კაცი დამნაშავე.

(გაგრძელება მე-3 გვ.)

# ფიქრები დიდი უბედურების შემდეგ

ეროვნული ბიბლიოთეკა



# „გასრულდა ჩემი უდაბური სულის წამება“

ლამის თქვენ თვალწინ ჩაიარა, ბატონო ირაკლი, ამ სისხლიანმა, სასტიკმა საუკუნემ, როცა „კაენის სულის აღზევება დარიალებდა საქართველოზე“ და თქვენ კი „ლანდად დაგდევდათ ბედწამხდარი თქვენი მამული“.

თქვენი თაობის ტრაგედია იყო ის, რომ ამ წამხდარი დროისთვის/თავისი პოეტური ხარკი უნდა მიეცა ყველას და ახლა ბოდიშის მოხდით უნდა აღვნიშნოთ, რომ თქვენს თაობელთათვის ძველი კრებულებიდან მავანთა მიერ გამომზეურებულ-გამოქექილი კონიუნქტურული ლექსი კი არ შემორჩება ჩვენს მრავალსაუკუნოვან ლიტერატურას, არამედ ჩვენთვის უკვე ლეგენდად ქცეული ამბავი, თქვენ რომ აკაკი შანიძესთან და გიორგი წერეთელთან ერთად მაშინდელი პალესტინის ჯვრის მონასტერში მიაგენით შოთა რუსთაველის ფრესკას და მისი ფერადი ილუსტრაცია სამშობლოში ჩამოიტანეთ, ხოლო მერმე კი დიდებული კრებული „რუსთაველის ნაკვალევზე“ გვიბოძეთ; ამ წიგნში შესული პოეტური ციკლები „მწველ ინდოეთში“ და „პალესტინა-პალესტინი“ სულის საგზლად უნდა გაჰყვეს ყველა ქართველს, რადგან იქ დიდი პოეტური ძალით ხოტბა აღუვლინეთ სამარის პირამდე დაუთმობელ ქართულ ენას, მის რუსთაველს, თქვენს საფიცარ საქართველოს.

ახლაც, თქვენი წასვლისას, მძიმე, ბედითი ჟამია ჩამომდგარი საქართველოში და ბარემ ვთქვათ სიმართლე, რომ ზოგიერთმა მწერალთაგანმა ამ ერთ წელიწადსაც კი ვერ გაუძლო მაღალ თანამდებობათა, ძვირფას სავარძელთა, ბისონთა და პოლიფირთა, ოქროთა და თვალმარგალიტთა საცდუნებელს, რაისთვისაც ჰგმო და ჩაწიხლა, დააბეზღა და დასაჭერად გაწირა თანამოკალმე მწერლები... მოკლედ, საქართველოზე კვლავ გადისრიალა კაენის სულის აღზევებამ. არადა, ხომ უნდა ისიც ვთქვათ, თქვენ და თქვენმა თაობამ რა საოცარ საცდუნებელთა ჟამი გამოიარეთ, სისხლის წვიმებიც იხილეთ,მაგრამ ამნაირი დუხჭირი, ბედკრული ქვეყანა არც თქვენ გექნებოდათ ნანახი — ქვეყანა, სადაც ქართველი თანამოძმეს მოჭკლავდა, ერს ორად გახლეჩდა განხეთქილების უფსკრული; არა, ამგვარი ბედითი ჟამი, ჟამი-წარწყმედისა, სიკვდილისა, დარღვევისა, ტირილისა, განპირისა, ნგრევისა, სიძულვილისა, მოკვლისა — არ გექნებათ მაინც ნანახი. ძნელია ამის ატანა, აგერ სულ ახლახანს არ იყო, ძვირფასი მწერალი — რევაზ ინანიშვილი რომ გამოგვეცალა ხელიდან. ძნელია, მართლაც საოცრად ძნელია ამგვარად გაბედითებული ქვეყანა ნახო და მშვიდად გადიტანო ეს ყველაფერი, მით უფრო თავისი ერის თქვენებრ მოტრფიალე პოეტმა და წახვედით კიდეც; თქვენზე აღსრულდა ჩქვენივე ნათქვამი:

დამამხობელმან
მე საწუთრომ
დამამხო, თამარ!
დიდება ღვთის მადლს,
ჩემს ჭირს
წამლით არ ეწამლება;
გასრულდა ჩემი
უდაბური სულისა წამება.
გასრულდა ჩემი ხეტიალი
ტრამალ და ტრამალ.
მეფეო ჩემო,
მზეო ჩემო,
ხმელთა გამთბობო!
ვაი ცრუ სოფელს —
აღრც მეფევ,
აღრც მნათობო;
არღარას შევტრფი;
არას ვეძებ,
არას მოველი;
დავთმე სოფელი,
აქ აღვსრულდი
შენზე მგლოველი.
გამომეღვიძა
და სიზმარი იყო ყოველი.
მხოლოდ მას მარადს
ღმერთს ვავედრებ
სამარის კარად
ჩვენს მართალ მამულს
მის კლდეთა დგმას
მის წყალთა დენას:
ეს ლოცვა ჩემი
ათას წლებში
ფარვიდეს ფარად
მის უკვდავ მთა-ბარს
უკვდავ მაჯას
მის უკვდავ ენას.

მაგრამ არც მთლად ასეა საქმე, ბატონო ირაკლი! ისევ თქვენივე ლექსით ვუპასუხებ ამ დარდიან, ლოცვად აღვლენილ სტრიქონებს:

თუ ყველაფერი არის სიზმარი;
თუ ბინდისფერი არის ყოველი,
მაშინ რატომ დგას ეს
მცხეთის ჯვარი,
რატომ დგას ისევ სვეტიცხოველი.
რატომ ელვარებს უძველეს ქვაში
სამთავროს სვეტი მცირე და დიდი,
ან ზედ ქალაქთან
შეგუბულ მტკვარში
რატომ ჩანს ისევ პომპეის ხიდი?
გაზეთ „საქართველოს“ რედაქცია.

მომდევნო ნომერში გამოვაქვეყნებთ ორ ნაწყვეტს ბატონ ირაკლი აბაშიძის მოგონებებიდან „ზარები ოცდაათიანი წლებიდან“. სრული სახით მოგონებები გამოქვეყნდება ჟურნალ „მნათობში“.

# ფიქრები დიდი უბედურების შემდეგ

(დასაწყისი მე-2 გვ.)

როდესაც ვახუშტი კოტეტიშვილი ტელევიზიით გამოდიოდა, ჩემი ძმა და მე ვითარებათა გამო ერთ ნასახლარს ვიუავით შეფარებული.

თბილისში ჯერ კიდევ ისმოდა ავტომატების ხმა ჭურჭების ექოთი ათასჯერ გაზრდილი.

ძმათა მკვლელი ომის გონების დამბინდავი ფონი ჭერაც არ ჩამცხრალიყო.

ხომ შეიძლებოდა რომ რომელიმე ავტომატიან კაცს, ვინც მოიმანა ბატონი ვახუშტის მიერ სულისშემძრავი მღელვარებით ნათქვამი ბრალდება, ჩემი ძმის დანახვაზე ინსტინქტურად გამოეკრა თითი ჩახმახისათვის.

და კიდევ ერთი მსხვერპლი შეემატებოდა ჩვენი საზარელი ომის სისხლიან ანგარიშს.

ერთი კი არა — ორი, რადგან ალბათ მეც ზედ მიმაყოლებდა მსროლელი.

არც ჩემ ძმას და არც მე დაგვიმსახურებია, რომ მოძმის ხელით ვყოფილიყავით მოკლული.

ის ამბავი, რომ ჩვენ უზენაეს საბჭოში ვმუშაობდით, სულაც არაა მიზეზი, რომ დამნაშავედ მიგვიჩნიოს ვინმემ, თუნდაც ეს ვინმე მომხრე იყოს სამხედრო საბჭოსი და დროებითი მთავრობისა.

თუ როგორ ვმუშაობდით ჩემი ძმა და მე როგორც დეპუტატები ამისი უამრავი მოწმეა და ვისაც დასჭირდება შეუძლია გაიკითხოს.

რობერტ პეტრიაშვილისადმი პრეტენზია არავის უნდა ჰქონდეს. რაც შემეხება მე, ვიცი, რაც დამიშავება.

ორიოდე მიტინგზე და რადიო გამოსვლაში წამომცდა ზოგიერთი პიროვნებისადმი სალანძღავი სიტყვები. თავს ვერ გავიმართლებ, არ ვიყავი სწორი, ოღონდ მინდა მკითხველმა იცოდეს თუ რატომ მომივიდა შეცდომა.

მთელი არსებით ვგრძნობდი, რომ რაღაც საშინელება უნდა დატრიალებულიყო. იმასაც ვგრძნობდი, რომ ვერაფრით იმ უბედურებას ვერ ავიცილებდით და ამით გამწარებული ვკარგავდი წონასწორობას.

არ მამართლებს არც ის, რომ მოწინააღმდეგე მხარეც არ ერიდებოდა ლანძღვა-გინებას.

ახლა, როცა თავს დამტყდარი საშინელებით. და უბედურებით შეძრულნი ვიალდებულნი ვართ ურო ჭკვიანნი გავხდეთ, ვიდრე აქამდე ვიყავით, მივხვდი თუ რატომ ილანძღებოდა ორივე მხარე.

ქართველებს ხომ ორასი წელია არა გვქონია პოლიტიკური ცხოვრება.

გამოუცდელობის გამო ვიყენებდით ამ ხერხს.

ეტყობა, გაუცნობიერებლად ასეთი იყო ჩვენი მოქმედების მიზანი:

თუ მოწინააღმდეგეს გალანძღავ, ყველა დაინახავს, რომ ის ცუდია. მას მომხრეები მიატოვებენ და მარტო დარჩება. და როცა მარტო დარჩება, მიხვდება, რომ მე ვარ მართალი. მიატოვებს თავის პოზიციას და ჩემსკენ გადმოვა.

სისულელემდე მისული გულუბრყვილობა, — ხომ ?

სწორია, მაგრამ ნამდვილად ეგრე იყო.

საზარელი ომიდან, რომელიც ჩვენ გადავიტანეთ, ერთი დიდი გაკვეთილი ისიც უნდა მივიღოთ, რომ არ შეიძლება პოლიტიკოსებმა ერთმანეთი ლანძღვით დაამცირონ და ამით თავიც დაიმცირონ და მსმენელიც შეურაცხყონ.

პირადად მე არაკორექტულ სიტყვას აღარასოდეს ვიტყვი და სხვასაც მოვუწოდებ ამისაკენ.

ბოლოს მინდა ერთ ფაქტზეც ვთქვა ორიოდე სიტყვა.

ეს ფაქტი მე მეხება.

მას შემდეგ, რაც თბილისში სამხედრო საბჭომ და დროებითმა მთავრობამ აიღო ხელში ძალაუფლება, ტელევიზიაში, რადიოში და პრესაში სულ ჩემი სახელისა და გვარის ხსენებაა.

ძირითადად ჩემი კოლეგები ლაპარაკობენ ჩემზე.

ცხადია, არ მაქებენ.

როგორღაც ოპოზიციამ მე მიმიჩნია „მრგვალი მაგიდა-თავისუფალ საქართველოს“ იდეოლოგად და ახლა ყველა ინტელიგენტი, ვისაც „მრგვალი მაგიდა“ არ მოსწონს, ჯავრს ჩემზე იყრის.

კრიტიკას მე შეჩვეული ვარ.

არასოდეს მიზრუნია, არიქა, ჩემზე რამე არ დაიბეჭდოს კრიტიკული მეთქი.

პირიქით, ყველა რედაქტორს ვთხოვდი, რასაც მოგიტანენ, უცვლელად დაბეჭდეთ, არ შეარბილოთ მეთქი.

მუდამ ფურცდღებით ვკითხულობ და ვისმენ, თუ რას ამბობენ ჩემზე.

ღმერთმანი, გულწრფელად მინდოდა და მინდა მხოლოდ ერთი:

რომ ერთმანეთს ვუთხრათ ქართველებმა, თუ რას ვაკეთებთ კარგს და რას ვაკეთებთ ცუდს. კარგი გავაღრმაოთ და ცუდი შევიშოროთ.

და ამით უკეთესები გავხდეთ.

ოღონდ კონკრეტულად უნდა ვუთხრათ ერთმანეთს ჩვენი სათქმელი.

აი, „საქართველოს“ 11 იანვრის ნომერში ქალბატონი ირინა სარიშვილი წერს ჩემზე: „ან თვითონ უზენაეს საბჭოში რა ხდება — ღრმად პატივცემული გურამ პეტრიაშვილი არ უნდა წყვეტდეს ჩემი ქვეყნის და ამდენად ჩემს ბედს.“

ვისაც სურს, შეამოწმოს ჩემი ნათქვამი, გადაშალოს ჩემი წიგნები და ნახავს, არასოდეს გავკადნიერებულვარ ვინმეზე უარყოფითი აზრი გამომეთქვა, ასე გაკვრით და დაუსაბუთებლად.

„ღრმად პატივცემულიო“ დამცინის ქალბატონი ირინა.

კი, ბატონო შეიძლება მართლაც ვიყო რაღაცის გამო სასაცილო. მაგრამ ხომ უნდა ვიცოდე, თუ კერძოდ რის გამო დავიმსახურე დაცინვა?

რაც შეეხება იმას, თუ ვინ უნდა იყოს უზენაეს საბჭოში და ვინ უნდა წყვეტდეს ჩვენი ქვეყნის ბედს, უნდა მოგახსენოთ, რომ ბევრჯერ განმიცხადებია, პოლიტიკოსი არ გახლავართ-მეთქი. უზენაეს საბჭოს კულტურის საკითხებიც ეხება და მხოლოდ ამიტომ მიმაჩნია, რომ შემეძლოს იქ მეც მეფუსფუსა შეძლებისამებრ.

პოლიტიკოსის ნიჭი, ალბათ ირინე სარიშვილს უფრო აქვს. ამიტომაც მიმაჩნია: შეცდომა იყო 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებში ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ რომ არ მიიღო მონაწილეობა. იმ არჩევნებში ამ პარტიასაც, ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიასაც და ყველა სხვა მნიშვნელოვან პოლიტიკურ ძალასაც უნდა მიეღო მონაწილეობა. მაშინ, დარწმუნებული ვარ, აღარ მოვიდოდით დეკემბერ-იანვრის სისხლიან ამბებამდე.

ბატონი ირაკლი სურგულაძის ნათქვამი ისე გავიგე, თითქოს მას მე ქართული კულტურის მტერი ვგონივარ.

ასეთი განცხადების გაკეთება როგორ შეიძლება.

ქართული კულტურა მეც ალბათ არანაკლებ მიყვარს, ვიდრე ბატონ ირაკლის.

ჩემი კრიტიკული შენიშვნები მიმართული ქართული კულტურის იმ ფაქტებისადმი, რომლებსაც დაღი დასვა იმპერიის ბატონობამ.

ბატონმა ირაკლი სურგულაძემ, ისევე როგორც ქალბატონმა იზა ორჯონიკიძემ და ბატონმა რევაზ მიშველაძემ ერთი ხელის მოსმით გადამიყარეს ყველაფერი, რაც მწერლობაში გამიკეთებია ოცდახუთი წლის მანძილზე.

იცით რა ვიგრძენი?

კი ამბობენ ამ ომში ყველა დავმარცხდითო, მაგრამ ზოგიერთი ბატონი და ქალბატონი ნამდვილ ტრიუმფატორად გრნობს თავს.

ყოველ შემთხვევაში მე ვერასოდეს გავკადნიერდები და ვერც ჩემს კოლეგას და ვერ სხვა ვინმეს ასეთ განაჩენს ვერ გამოვუტანთ: არაფერი გაუკეთებია-მეთქი.

ქალბატონმა მანანა გოგინეიშვილმა მთლად განმაცვიფრა: „...ჩვენ ხომ ვართ ის საზოგადოება, სადაც შესაძლებელია პეტრიაშვილი გალაღდეს“-ო.

კი მაგრამ რით ვიყავი გალალებული ?

იმით, რომ რამდენჯერმე გამოვედი ტელევიზიით და რადიოთი ?

თუ არ მოსწონდა ვინმეს ჩემი აზრები, მაკრიტიკებდნენ და ეს კრიტიკა იბეჭდებოდა.

დაეწერა ქალბატონ მანანას რაშიც არ მეთანხმებოდა და ისიც დაიბეჭდებოდა, თუ მაშინ არ დაწერა ახლა დაწეროს. სიამოვნებით მოვუსმენ. რასაც სწორს მეტყვის, გავიგებ, რაც არ მომეწონება, კორექტულად შევეკამათები.

მაინც რას ნიშნავს გალალება ?

იქნებ ქალბატონი მანანა იმას მიანიშნებს, რომ დასაჭერი ვარ ჩემი აზრებისათვის ?

მერედა ეთანხმება ეგეთი აზრები მის დემოკრატიას ?

დაბოლოს:

ამ წერილში არ მიხსენებია ერთი სიტყვა, რომელმაც უნდა გადაგვარჩინოს ქართველები.

სიყვარული!

ვერავინ ვერ გახდება ჭეშმარიტი დემოკრატი, თუკი გულში სიყვარული არ უგიზგიზებს.

ვერც თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობისთვის იბრძოლებს ის, ვინც სიყვარული არ იცის.

საქართველო ბატარაა და ამ ვეებ და სასტიკ სამყაროში მას გადაარჩენს მხოლოდ მის შვილთა ურთიერთსიყვარული.

მე თქვენ მიყვარხართ ქართველებო.

მინდა ჩემი ლექსი გითხრათ, რომელიც ერთ ქართველ მწერალს ვუძღვენი.

არ ვიცი, ისევ უნდა თუ არა იმ კაცს ჩემი ლექსი, ამიტომ ახლა მის გვარს არ ვახსენებ.

მიუხედავად ყველაფრისა, მაინც მჭერა, რომ მალე ყველაფერი კარგად იქნება.

საქართველოში გაიმარჯვებს სიყვარული.

ახლა კი წაიკითხეთ ლექსი:

საქართველოვ, ულრან ტყეში დაკარგულო თიკანო!
ვინ არ გდია კბილთა ღრჭენით, ბნელში თვალთა ბრიალით.
ყველა ისრის, ყველა ტყვის სამიზნევ და ნიშანო!
გულს ნუ მიკლავ მაგ ბაწია ზანზალაკის წკრიალით!
მიხვალ ბნელში, მიგაქვს ჯვარი, შუბლზე გამოტატული
და ცამცამი გზას გინათებს მანათობელ ჯვარისა.
მაგრამ მაგ შუქს ხედავს მტერიც, ავად წამომართული,
გაგცემს ჯვარი მოციმციმე და წკრიალი ზარისა.
მოდის მტერი ყოველი მხრით, ათასი ხმით მკივარი,
შენ კი ერთი უთვისტომო, ეული და მზებნელი...
მოდის ეშვი, კლანჭი, ბრჭყალი, ცეცხლი, ხმალი, ისარი,
ბნელს აწყდები უსასოო, ანთუ მხსნელთა მძებნელი.
ხან საცოდავ რქებსაც იქნევ, წრეში გამოკეტილი,
ხან ბედს ნისლში ეძალები და ხანაც წინ მიუხტი,
მერე წამით მზე დაჩნდება — ზეცის თვალი კეთილი
და შენ ისევ მიბაკუნობ, საბრალო და ჩოტი.
ისევ ხარ... გიშერს მტერი, ავად წამომართული.
და არა და არ თავდება ბედის შავი ტრიალი
ან ეგ ჯვარი გშველის იქნებ, შუბლზე გამოტატული
ან ღმერთს მოსწონს მაგ ბაწია ზანზალაკის წკრიალი.

გურამ პეტრიაშვილი

# საქართველოს რესპუბლიკის ტელე-რადიო დეპარტამენტის თავმჯდომარეს ბატონ გოჩა ხუნდაძეს, ბატონ ვახუშტი კოტეტიშვილს

არა მგონია ბატონ ვახტანგ კოტეტიშვილის სახლის დაწვის ამბავს საქართველოში ვინმე გულგრილი დაეტოვებინოს.

დიდად ვწუხვარ, რომ დაიწვა სახლი. სახლი, რომელშიც ბატონი ვახტანგ კოტეტიშვილი ცხოვრობდა, სადაც მისი სული ტრიალებდა. განადგურდა კულტურის ძეგლი, რომელიც მთელ ერს ეკუთვნოდა. სამწუხაროდ გულსატკენი და თავში საცემი გაცილებით მეტი გვჭირს.

ჩემს გულსტკივილს კიდევ უფრო აძლიერებს ის, რომ სახლის დაწვა ბატონმა ვახუშტიმ ჩემს სახელს დაუკავშირა და ტელევიზიის მეშვეობით ეს უღვთო ბრალდება, მთელ რესპუბლიკაში გაავრცელა. ვინ, როგორ და რა ვითარებაში დაწვა სახლი ამას, იმედი მაქვს, ძიება დაადგენს. ეხლა კი მინდა ღვთისა და ერის წინაშე განვაცხადო: ბატონ ვახტანგ კოტეტიშვილის სახლის დაწვასთან არავითარი კავშირი არა მქონია და არც რაიმე ისეთი გამიკეთებია ღირსების მქონე კაცს თავის ნამოქმედარისა რომ შერცხვეს.

ჩემგან ამგვარი ქმედება შეუძლებელი იყო სულ ცოტა სამი რამის გამო: 1. არასოდეს ფიქრადაც კი არ მომსვლია რაიმეს დაწვა-განადგურება, ვინმეს დამცირება (ამას დაადასტურებს ყველა ვინც კი მე ახლოს მიცნობს). 2. ვახტანგ კოტეტიშვილს, როგორც მამულიშვილს და როგორც შემოქმედს გამორჩეულად ვცემდი პატივს. მისი წიგნი — „ხალხური პოეზია“ სამაგიდო წიგნად მქონდა. 3. უზენაესი საბჭოს შენობაში, მთელი ამ ხნის განმავლობაში, ვიყავი როგორც ერთ-ერთი რიგითი დეპუტატი, რომელსაც არავითარი ბრძანების გაცემის უფლება არ ჰქონდა. (როგორც გადმომცეს ეს კარგად ჩანს თავდაცვის ყოფილი მინისტრის ჯონი ფირცხალაიშვილის სატელევიზიო გამოსვლიდან). ჩემგან არ გესწავლებათ, ცოდვას ჩავდივართ მაშინაც კი, როცა უდანაშაულო კაცზე რაიმე ბრალდებას გულში ეჭვად გავიტანთ და ღმერთს შენდობას ვთხოვთ.

ბატონო ვახუშტი, მჯერა ყოველგვარი წინასწარ განზრახვის გარეშე თქვენ ჩაიდინეთ უფრო დიდი ცოდვა, ვიდრე სახლის დაწვაა არამარტო იმიტომ, რომ დაარღვიეთ სახარების ერთ-ერთი მცნება — არა ცილი სწამო. ამით თქვენ ( დიდებზე და საკუთარ თავზე არაფერს ვამბობ) სამ ბავშვს, რომელთაც სჯერათ მამისა, შეულახეთ ღირსება, მოუკლით გული...

თუ შენდობა დღემდე არ გითხოვიათ, ღმერთმა შეგინდოთ.

ბატონო გოჩა, მართალია იმით ცოდვა არ იზრდება შეუმოწმებელ ბრალდებას გულში გაივლებ თუ საჯაროდ მილიონებს ეტყვი, მაგრამ ერთი რამ ცხადია, მეორე შემთხვევაში იზრდება საფრთხე ერთ ცოდვას ათასი მოჰყვეს. ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ, ტელევიზია წინასწარი ბრამლდებლისა და ცოდვის გამავრცელებლის როლში არ უნდა გამოდიოდეს.

ვიმედოვნებ ამ განცხადებას ტელევიზიით გადასცემთ.

პატივისცემით
როგბერტ პეტრიაშვილი

14 იანვარი 1992 წელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩვენი მილოცვა

**მკითხველს ალბათ ახსოვს თუ რა ბატალიები გადახდა ჩვენს გაზეთსა და გაზეთის სასურველ ავტორს ბატონ წივწივაძეს ერთი მედოლის წყალობით.**

**მოხდა ისე, რომ კრიტიკოსი თამაზ წივწივაძე ნაცვლად ციხისა „ლიტერატურული საქართველოს“ მთავარი რედაქტორის სავარძელში აღმოჩნდა, რაც მის კოლეგებს ფრიად სასიამოვნო ფაქტად მიგვაჩნია (მავანნი მის დაჭერას აღიქვამდნენ ასეთივე სიამოვნებით).**

**გთავაზობთ ერთ ლექსს, რომელიც სასამართლო პროცესის დღეებში დაწერა პოეტმა ბათუ**

### დანეიამ

პანაშვიდია!.. — ჭირისუფალნი
კედელთან დგანან დახრილ თავებით...
ოქროს კუბოში უწევთ სიმართლე,
ხვალ დიდი ამბით ასაფლავებენ.

რა საჭიროა სიმართლე აწი! —
უკვე მოჭამა მან დრო თავისი...
ამოვისუნთქეთ, როცა პაწია
უსამართლობა თავზე დავისვით...—

ასე იწყება ვაი და უი!—
ვაი ჩვენა და უი ჩვენს პატრონს!
ჩვენს თავზე ბუზი რამდენი ბზუის! —
გაბედოს ვინმემ და რამე ჰკადროს!

დღეს ბუზის დროა, ბუზი ძლიერობს.
ფუტკარიც ბლომად გაბუზდა უცებ...

### პანაშვიდი

(ეძღვნება თამაზ წივწივაძის სასამართლო პროცესს!)

ბზუის სიცრუე, სამაგიეროდ
სიმართლე ოქროს კუბოში უწევთ...

ხვალ პანთეონში სამგლოვიაროს
ოფიციოზი გამართავს მიტინგს
და მკვდრის ღირსებას იქ აღიარებს,
მერე ქელეხი იქნება დიდი...

ეს ხვალ! ახლა კი პანაშვიდია!
გლოვობს ჩარჩი და გლოვობს მინისტრი,
მთელი კვირაა არ აქვთ სიმშვიდე
და არ სცალიათ საწყლებს ლხინისთვის!

პანაშვიდია!.. — ჭირისუალნი
მკვდრის გლოვას ლამის გადაგებულან,
ოქროს კუბოში უწევთ სიმართლე,
ასაფლავებენ ხვალ დიდებულად...

---

# ნუ იძლევი ბოროტისგან, არამედ კეთილით სძლიე ბოროტი

და უთხრა მოწაფეებს: შეუძლებელია, რომ არ მოვიდნენ საცდურნი, მაგრამ ვაი მას, ვისგანაც მოვლენ. უჯობს წისქვილის დოლაბი დაჰკიდონ ყელზე და ზღვაში დანთქნ, ვიდრე აცდუნოს ერთი ამ მცირეთაგანი. დაუკვირდით თქვენს თავს: თუკი შენი ძმა შეგცოდავს, შერისხე იგი; და თუ შეინანებს, მიუტევე. დღეში შვიდჯერაც რომ შეგცოდოს და შვიდჯერ მოგიბრუნდეს და გითხრას — ვნანობო, მიუტევე. და უთხრეს მოციქულებმა უფალს: გვიმრავლე ჩვენ რწმენა.

ლუკა 17.1-5

შევეცადოთ ამ თვალით შევხედოთ იმას, რაც საქართველოში მოხდა და ხდება. დიქტატორს განსაცდელში შეჰყავს მთელი ერი. მათეს, მარკოზის, ლუკას სახარების ანოკალიპსური თავები იწყება ცრუმესიის, ცრუ-მხსნელის გამოჩენით: „ვინიდან მრავალნი მოვლენ შენი სახელით და იტყვიან: მე ვარ ქრისტე, და მრავალს აცდუნებენ“ (მათე 24,5; მარკოზი 13,6; ლუკა 21,8 ). „ქრისტე“ ბერძნული აღნიშვნაა „ცხებულის, მესიასი“. ხოლო როდესაც ერი ვერ გამოიჩენს სიფხიზლეს და აჰყვება ცდუნებას, იშლება მთელი ზამბარა უბედურებებისა: ომები და ომების შესახებ ცნობები, აღდგომა ხალხისა ხალხის წინააღმდეგ, შიმშილობა და უამინობა, მიწისძვრა; მოციქულებს მისცემენ სატანჯველად და მოკლავენ; და მრავალი შეცდება მაშინ და გასცემენ ერთმანეთს და მოიძულებენ ერთურთს; და ურჯულოების მომრავლების გამო მრავალში განელდება სიყვარული. (მათე 17, 4-12); და გასცემს ძმა სასიკვდილოდ ძმას და მამა შვილს; და მოგიძულებთ ყველა ჩემი სახელის გამო; ხოლო ვინც ბოლომდე დაითმენს, იგი ცხონდება (მარკოზი 13, 12-13); ხოლო როდესაც იხილავთ გაპარტახების სიბილწეს, დანიელ წინასწარმეტყველის მიერ თქმულს, რაც წმინდა ადგილას დევს, მაშინ იუდეას მყოფნი მთებში გაიქცნენ ( მათე 17, 15-16); აქ მოცემულია სრული პარადიგმა იმ უბედურებებისა, რომელიც ჩვენმა საუკუნემ არაერთგზის იხილა ლენინის მოსვლით დედამიწის ერთ მეექვსედ ნაწილზე, ჰიტლერის მოსვლით გერმანიაში; და ჩვენც გვერგო. ეს განსაცდელი მეოცე საუკუნის მიწურულს, როდესაც საბჭოთა მონსტრის ბრჭყალებში ყოფნის სამოცდაათი წელი შეგვისრულდა. და იზოლაციონიზმისაკენ მიდრეკილებისგან განსაკურნებლად ისიც უნდა სიმპტომატური იყოს ჩვენთვის, რომ ერთ წელიწადში თითქმის სრულად ამოცნობაში იმისა, თუ რა იყო ჩვენს თავს უთუოდ დაგვეხმარა ჩვენი ბლანტის გამოცდილება — გამსახურდიას ბრალად ვდებდით ბოლშევიზმს, ფაშიზმს, ცრუ — სოციალიზმს, — ვუწოდებდით ჰიტლერს, ჩაუშესკუს. ფაქტიურად არაფერი არ დაგვმართნია ისეთი, რაც ამ საუკუნის განმავლობაში არ გადატანოს ამა თუ იმ ერს დედამიწაზე. ამიტომ ჩვენ მადლობელნი უნდა ვიყოთ მათი, ვინც ჩვენამდე გადატანა განსაცდელი, ჩვენ მათ ძვლებზე ვდგევართ, მათმა განცდილმა გაგვიადვილა ამოცნობა და განთავისუფლება იმისაგან, რამაც მრავალი მხვერპლი წაიღო. მაგრამ ჭეშმარიტად, ვისაც ყურები აქვს, ის ისმენს და ვისაც თვალები აქვს, მას შეუძლია იხილოს. ჩვენ საკუთარი განსაცდელი დაგვჭირდა კერპთაყვანისმცემლობისაგან გასათავისუფლებად.

ბევრ მოაზროვნე ქართველს სჯეროდა, რომ საქართველოში დიქტატურას ადგილი არ ექნებოდა, რადგან ქართველის ბუნება იმის საშუალებას არ მისცემდა, რადგან ქართველი სხვაგვარია და რუსი სხვაგვარი. მართლაც ბოლშევიკებმა ცინიკურად გამოიყენეს ის, რომ რუსეთი ახალი ერია, რომ მასში ძლიერი იყო თემური საწყისი, პიროვნება მკაფიოდ არ იყო ჩამოყალიბებული. ნოე ჟორდანია იგონებს ლენინის ნათქვამს: გვაცალეთ, ჩვენ ერნი ერის ბუნებიდან ამოსვლით სხვა გვაქვს, ნუ გვერევით თქვენი მენშევიკური მიმართულებითო. ქართველი გაცილებით უფრო ინდივიდუალიზირებულია, მეტი პიროვნული ძალა აქვს, ამდენად ნაკლებ მოსალოდნელია, რომ დაემორჩილოს კოლექტივიზმს, ტირანიას. ეგებ ესეც იყოს ერთი მიზეზი იმისა, რომ ასეთი ვითარება აქ დიდხანს არ გაგრძელდა. მარამ არის ერთი წყარო დიქტატურისა, რომელიც ჩვენთანაც უხვად ამოიფრქვა: დიქტატურა აღვიძებს ქვენა გრძნობებს ადამიანში, ატყუებს მას საკუთარი რეალური შესაძლებლობების თაობაზე და უჭკუოს ჭკვიანზე მაღლა აყენებს, უზნეოს — ზნეობრივზე, ზარმაცს — მშრომელზე და ა.შ. ყოველი ადამიანი, რომელიც არ არის თავის ადგილზე, ანგრევს ეროვნულ და სოციალურ ორგანიზმს. სამოცდაათწლიანმა ცრუსოციალისტურმა რეჟიმმა ასეთი ვითარება კარგად გაუგებერია, როგორ კარგავს მეხსიერებას ხალხი, როგორ არ ახსოვს, რომ პიროვნება, რომელსაც იგი დღეს მიყვება, გუშინ მეგობარს ღალატობდა; გუშინ ერთს ამბობდა, დღეს — სხვას; გუშინ შერიგების დღეს აცხადებდა, დღეს შერიგებულებს თავზე ლაფს ასხამს; გუშინ მოლაპარაკებისკენ მოუწოდებდა, დღეს ყოველგვარ მოლაპარაკებაზე უარს ამბობს; გუშინ მიტევებას ქადაგებდა,დღეს ჩაქოლვას მოითხოვს; გაოცებას იწვევდა ხალხის მიერ უარისთქმა განსჯის უნარსა და მეხსიერებაზე, მზადყოფნა ყოველ მოცემულ მომენტში მიეღო ის, რაც „საქართველოს მხსნელის“ პირიდან ამოიფრქვეოდა. ახლა ბევრი სწუხს რწმენის დაკარგვას. მაგრამ ასეთი რწმენა ყოველად უადგილოა. რწმენა მხოლოდ ღმერთს ეკუთვნის. ყოველგვარი სხვა რწმენა კერპთაყვანისმცემლობაა, ცრუ-მხსნელის თაყვანისცემაა. იოანეს გამოცხადებაში ანგელოზი ეუბნება იოანეს, რომელსაც უნდა თაყვანი სცეს მას: „ნუ იზამ ამას, რადგან თანამონა ვარ შენი და შენი ძმებისა... ღმერთს ეცი თაყვანი (გამოცხადება 19,10). ასევე ტირიდნენ რწმენის დაკარგვას ლენინის, სტალინის იდეოლოგიის დამკარგავნი. ეს არის ის „გაპარტახების სიბილწე, რომელიც წმინდა ადგილას დევს“. ეროვნული თვითშემეცნება, ისევე როგორც პიროვნული, განთავისუფლების წინაპირობაა. ამიტომ არ უნდა გვეშინოდეს ჩვენი ცუდის გამოვლენისა, რადგან სინათლისაგან გარბის სიბნელე. ნიშანდობლივია, რომ ქართული ხასიათის არცოუ სახარბიელო თვისებების გამომჭეურებამ ცოტა ხნის წინ ერთი ქართველი ფსიქოლოგის მიერ მძაფრი რეაქცია გამოიწვია. ჩვენში დიდია ილუზიებისკენ მიდრეკილება, სასურველის რეალობად მიჩნევა, თვითშელამაზება. თუ რუსს ავადმყოფურობამდე მისული თვითანალიზი ახასიათებს, ქართველი თვითკმაყოფილია, არ ხურს თავისი ნაკლი დაინახოს. მისი აზრით, ყველაფერში სხვები არიან დამნაშავე. უკიდურესობამდე მისული ყველა თვისება შემაფერხებელია. უნდა ვეცადოთ თვითშემეცნებას, მაგრამ ისეთს, რომელიც არ დაგვაკარგვინებს საკუთარი ღირსების გრძნობას, ენერგიასა და მოქმედების უნარს.

კერპთაყვანისმცემლობა, როგორც ჩანს, დიდი დოზით ყოფილა ჩათესილი ჩვენში. მე მგონია, მოვიდა დრო, რომ ვალიაროთ — 1956 წლის მოვლენებში, სადაც გამსახურდიაც საკმაო როლს თამაშობდა, დიდი წილი იყო კერპთაყვანისმცემლობისა და ნაციონალიზმისა. ხალხი აღსდგა სტალინის ხსოვნის დასაცავად — აქ გაერთიანებული იყო კერპთაყვანისმცემლური და ნაციონალური მომენტი. თავგანწირვის კეთილშობილება გონებით არ იმართებოდა და კერპის რღვევას ეწირებოდა. ვფიქრობ, ის, რაც ჩვენ სწორედ ვერ განვსაჯეთ საუკუნის მესამედის წინ, კვლავ წინ წამოგვემართა მძლავრ დაბრკოლებად. და ჩვენ იმავე დაბრკოლების დაძლევა გვიხდება ეროვნული კატასტროფის ფასად. საოცარია, როგორ სჯერდა ერს ადამიანისა, რომელიც მისი სახელის სკანდირებას დირიჟორობს. „შეუძლებელია არ მოვიდნენ საცდურნი, მაგრამ ვაი მას, ვისგანაც მოვლენ“. დღეს ეს საცდური ჩვენ მოგვევლინა. ვაი მას, ვისგანაც იგი მოვიდა. ვაი მათ, ვინც მას თავის თავში ადგილი მისცა. ისინი კი, ვინც ღმერთმა ამჯერად დაიფარა საცდურისაგან, უნდა მიხვდნენ ცდომილთა უბედურებას და ძალისხმევა მიმართონ სიფხიზლისაკენ, რადგან საქმე ცალკეულ პიროვნებაში კი არ არის, არამედ თვით საცდურშია, რომელიც ყოველ ჩვენს სისუსტეს, ყოველ ჩვენს გადახვევას ზნეობისაგან მსწრაფლ გამოიყენებს თავის სასარგებლოდ. ამიტომ არის, რომ ანოკალიპსური პერიოდები სადაც ბოროტება ბოლოს ბრძოლაში ებმიან ერთმანეთს, ბოლოს ბოლოს ბოროტებაზე ბოროტებაზე ბოროტებაზე